საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/06

ქ. ბათუმი 06 თებერვალი, 2019 წ.

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N30 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პროფესიული პროგრამების მართვისა უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 1 19 00081887, 28.01.2019) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ეთხოვოს ბსუ-ს რექტორს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ წარმოდგენილი პროექტის გათვალისწინებით „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების გამოცემა.
2. ბსუ-ს რექტორის მიერ წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ამოქმედების დღიდანვე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის N30 დადგენილება.
3. დადგენილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**